საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა 25 03 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 362/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 18 მარტის N დმ-211773 განცხადებით კომპანიის „ბაიერსდორფ აგ" (მის: უნამტრასე 48, D-20253 ჰამბურგი, გერმანია) წარმომადგენელმა გიორგი თაქთაქიშვილმა მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „LABELLO" (რეგ. N 211773) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „LABELLO" (რეგ. N 211773) საქართველოში რეგისტრირებულია 30.07.1998 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 30.07.2018 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია პირველი, მე-3 და მე-5 კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „LABELLO" (რეგ. N 211773) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 185, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 25.03.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; კომპანიის „ბაიერსდორფ აგ“ წარმომადგენელს გიორგი თაქთაქიშვილს (მის: ლუბლიანას ქ. 11, II სადარბაზო, ოფისი 38, თბილისი).

25 03 3

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი: **LABELLO**

რეგისტრაციის N: 211773

მფლობელი: BEIERSDORF AG

მისამართი: Unnastrasse 48, 20253 Hamburg, DE

კლასები:

1 - Preserving products.

3 - Remedies for human medical and veterinary purposes, namely soaps and essential oils; sanitary products and cosmetic products, particularly mouth, skin, hair and tooth care products in the form of tinctures, extracts, powders, pastilles, tablets, pills, soaps, ointments, pastes, essential oils.

5 - Chemicals for pharmaceutical purposes, remedies for human medical and veterinary purposes, particularly tinctures, extracts, powders, pastilles, tablets, pills, plasters, ointments, pastes; sanitary products, particularly mouth, skin and tooth care products in the form of tinctures, extracts, powders, pastilles, tablets, pills, plasters, ointments, pastes, surgical dressings, plasters, disinfectants.